ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწის - გიორგი შუბლაძის ხსოვნა

სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი შუბლაძე.

გიორგი შუბლაძე დაიბადა 1934 წლის 15 მაისს ჩხოროწყუს რაიონის ს. ახუთში. 1952 წელს დამთავარა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. იგი წარჩინებით დაასრულა 1957 წელს. ამავე წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა საქარველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. 1964-1968 წწ. იყო ასპირანტი დაუსწრებლად.1968 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1990 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1976-1091 წლებში იყო სახალხო მოხმარების საქონელზე მოთხოვნისა დ ვაჭრობის კონიუნკტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დრექტორი. 1990 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1961- 2018 წლებში სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა საქართველოს რიგ უმაღლეს სასწავლებლებში: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის საერთაშორისო ეკონონიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტში და ა. შ.

გიორგი შუბლაძე იყო მრავალი მაგისტრის, მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მაძიებლის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძრვანელი,უმაღლესი სკოლის მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი . მის მიერ გამოქვეყნებულია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-ზე მეტი მონოგრაფია და 20-მდე სახელმძღვანელო საქართველოში და საზღვარგარეთ. იგი ითვლება მარკეტინგისა და მენეჯმენტის გამორჩეულ სპეციალისტად საქართველოში. არის მრავალი სამეცნიერო ღონისძიების მონაწილე ქვეყნის შიგნითა და უცხოეთში.

მისი შრომები ეძღვნება ვაჭრობის, წარმოებისა და მოხმარების კავშირების, ბიზნესისა და მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის, მარკეტინგისა და მენეჯმენტოს პრობლემებს.

გიორგი შუბლაძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამეცნიერო ღონისძიებებში. იგი იყო ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრი, სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოების წევრი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

გიორგი შუბლაძეს საზოგადოება იცნობს როგორც აქტიურ მოქალაქეს, რომელიც მთელი თავისი ენერგიით ემსახურებოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდის, მეცნიერების საქმეს, იყო სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურში. იგი იყო გულსხმიერი მეგობარი, პედაგოგი, კეთილშობილი მოქლაქე .

სამეცნიერო - პედაგოგიურ საქმიანობაში და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში წარმატებულ საქმიანობისათვის გი-

ორგი შუბლაძეს მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის: ღირსების ორდენი, შრომის ვეტერანის მედალი, მედალი "შრომითი მამაცობისთვის", თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი. გიორგი შუბლაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და ყველა ნაცნობის გულში.

მეგობართა ჯგუფი:

ნ. ბაკურაძე, გ.ბედიანაშვილი, თ. ბერიძე,
ნ. ბესელია, რ. გოგოხია, ო.ველიაშვილი,
ნ. თოდუა, დ. იაკობიძე, რ. კაკულია,
ჯ. კახნიაშვილი, პ. ლემონჯავა, გ. მალაშხია,
ე. მექვაბიშვილი, მ. მირიანაშვილი,
მ. ნანიტაშვილი, ვ. პაპავა, ნ. პაიჭაძე, ს. სანაძე,
ა. სილაგაძე, ა. სიჭინავა, დ. სიჭინავა, გ. ღაღანიძე,
რ. შენგელია, ო. შურღაია, დ. ჩომახიძე,
ნ. ჭითანავა, მ. ჯიბუტი, რ. ჯავახიშვილი და სხვ.